



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
კომუნიკაციის სტრატეგია

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	2
1. მოკლე მიმოხილვა	4
2. სამინისტროს ბენეფიციარები	5
3. სამინისტროს მისია კომუნიკაციის მიმართულებით	7
4. სტრატეგიული მიზნები	8
5. სტრატეგიის ამოცანები და გასატარებელი ღონისძიებები	9
6. კომუნიკაციის სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები	12
7. სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინაცია	17
დანართი #1. კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა	20

ტერმინთა განმარტება

1) **დევნილი** - „იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება“ (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი).

2) **ეკომიგრანტი ოჯახი** - „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახად (ეკომიგრანტად) ჩაითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მეწყერის, ღვარცოფის, კლდეზვავის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა“ (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის, 2013 წლის 13 ნოემბერი „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ“ ბრძანების დანართი #1 მუხლი 1, 1³ პუნქტი).

3) **რეპატრიანტი** – პირი, რომელმაც კანონით დადგენილი წესით მოიპოვა რეპატრიანტის სტატუსი“ („ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, გ) ქვეპუნქტი).

4) **თავშესაფრის მაძიებელი** - პირი, რომელიც „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ითხოვს სამართლებრივ დაცვას ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების გზით (საქართველოს კანონი“ ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“).

5) **ლტოლვილის სტატუსის მქონე პირი** - პირი, რომელსაც „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი.

6) **ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი** – პირი, რომელსაც „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე -4 მუხლის საფუძველზე მიენიჭა ჰუმანიტარული სტატუსი.

7) **პირობადადებული საქართველოს მოქალაქეობა** - საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება მოქმედ სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმის შემდეგ (საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის N237 ბრძანებულება “საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“).

1. მოკლე მიმოხილვა

კომუნიკაციის სტრატეგია მიზნად ისახავს განავითაროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საჯარო მომსახურებაზე ფოკუსირებული კომუნიკაცია და უზრუნველყოს სამინისტროს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სამოქალაქო საზოგადოების წინაშე.

სამინისტრო მომსახურებას უწევს სხვადასხვა საჭიროებების მქონე ადამიანებს, მათ შორის დევნილებს, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებს (ეკომიგრანტებს), რეპატრიანტებს, დაბრუნებულ მიგრანტებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს და თავშესაფრის მაძიებლებს. ბენეფიციარებისთვის გაწეული მოსახურება ითვალისწინებს მათ აღრიცხვას, კანონით დადგენილი დახმარებების მიწოდებას, თავშესაფრის, საცხოვრებლის, საარსებო წყაროების და ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდამჭერი პროექტების განხორციელებას.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების დროს სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სამინისტროებთან, პარლამენტთან, სახალხო დამცველთან, მუნიციპალიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან.

სამინისტრო ითვალისწინებს, რომ მის ბენეფიციარებში არიან სხვადასხვა მოწყვლადი ქვე-ჯგუფები, რომლებთანაც კომუნიკაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ასეთ ქვე-ჯგუფებში შედიან: ქალები, გოგონები, ბავშვები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებნი, ქართული ენის არ მცოდნენი და სხვა კატეგორიის ადამიანები, რომლებსაც დახმარება ჭირდებათ საზოგადოებაში ინტეგრაციისა და თავიანთი უფლებების განხორციელების დროს.

თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სამინისტრო საჭიროებს მუდმივ, მრავალმხრივ და ყოვლისმომცველ კომუნიკაციას ყველა დაინტერესებულ პირთან, რაც გულისხმობს თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის შესაბამისი ფორმით, გასაგებ ენაზე და სათანადო არხებით მიწოდებულ ინფორმაციას. სამინისტრო ასევე მხედველობაში იღებს ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგონების განსხვავებულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

2. სამინისტროს ბენეფიციარები

2.1. დევნილები

2016 წლის მარტისთვის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 269 400 იძულებით გადაადგილებული პირი, რომელთა ჩაშლა შესაძლებელია ასაკის, სქესის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა კატეგორიების მიხედვით.

დევნილთა პრობლემების გადაჭრის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2007 წელს მიიღო დევნილების სახელმწიფო სტრატეგია, რომელმაც დაადგინა ორი ძირითადი მიზანი: დევნილთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის პირობების შექმნა; დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეულად ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩაბმა.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დევნილთა საარსებო წყაროების სტრატეგია. სამინისტრო ასევე პერიოდულად ანახლებს დევნილთა სახელმწიფო სტრატეგიისა და საარსებო წყაროების განხორციელების სამოქმედო გეგმებს, რის მიზანიცაა დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა მათთვის გრძელვადიანი განსახლების უზრუნველყოფისა და საარსებო წყაროების გაძლიერების გზით.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს მთავრობის ეროვნული სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლების) ფარგლებში სამინისტროს მიერ აღებული ერთ-ერთი ვალდებულებაა, რომ გაზარდოს დევნილ ქალთა ცნობიერება არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და სამინისტროს შიდა კომუნიკაციის სტრატეგიაში ყურადღება გაამახვილოს გენდერულ საკითხებზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას დევნილ ქალთა და გოგონათა ადეკვატური ინფორმირება შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების შესახებ. ამგვარად, აღნიშნული კომუნიკაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს ზემოთ ნახსენები ვალდებულებების შესრულებას.

დღეისათვის დევნილებს კვლავ გააჩნიათ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომელთა შორის ყველაზე მეტად აღსანიშნავია შემოსავლების წყაროების სიმწირე, განსახლება, უმუშევრობის მაღალი დონე, რაზეც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენას ასევე ახდენს შეთავაზებული პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე დევნილთა არასაკმარისი წვდომა.

2.2. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახები

წლების მანძილზე ქვეყნის მასშტაბით მომხდარი სხვადასხვა სტიქიური უბედურებების შედეგად 2006 წლის მონაცემებით საქართველოში 37 000-მდე ეკომიგრანტი ოჯახი აღირიცხა. თუმცა, მათ რიცხვში ასევე მოხვდნენ ისეთი ოჯახები, რომლებმაც საცხოვრებელი ადგილი სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობის გამო დატოვეს და ისინიც, ვინც დაზარალდნენ ისეთი სტიქიური მოვლენების შედეგად (მაგალითად: მიწისძვრა, ძლიერი ქარი, ხანძარი, სეტყვა და ა.შ.), რომლის დროსაც ოჯახი ვერ გახდება სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი).

სამინისტრომ 2013 წლის 13 ნოემბერს გამოსცა მინისტრის N779 ბრძანება, (ნორმატიული აქტი) რომელმაც განმარტა ეკომიგრანტი ოჯახების ცნება და დაადგინა მათი განსახლების პროცედურები. ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისათვის 2013-2014 წლებში ჯამში გამოიყო 1 320 000 ლარი, 2015 წელს ამ ციფრმა შეადგინა 1 800 000 ლარი, ხოლო 2016 წელს საბიუჯეტო ასიგნებები გაიზარდა 2 250 000 ლარამდე.

2015 წელს სამინისტრომ ასევე შექმნა ეკომიგრანტების მონაცემთა ბაზა და წინასწარი შეფასებით, მინისტრის N779 ბრძანების შესაბამისად, მონაცემთა ბაზაში მოხდება დაახლოებით 8 000-მდე ეკომიგრანტი ოჯახის დარეგისტრირება, რომლებიც დადგენილი წესით და კრიტერიუმების შესაბამისად ისარგებლებენ განსახლების პროგრამით. სამინისტრო ასევე ახორციელებს პროექტს, რომლის მეშვეობითაც ეკომიგრანტებისთვის 2004-2012 წლებში გადაცემული საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში გადაეცემათ.

2.3. ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებული პირები (რეპატრიანტები); სამშობლოში ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეები (დაბრუნებული მიგრანტები); თავშესაფრის მაძიებლები; ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

2.3.1. ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებული პირები (რეპატრიანტები)

2007 წლის 11 ივლისს საქართველომ მიიღო კანონი ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ. ამ კანონის ფარგლებში რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი 5841 პირია რეგისტრირებული და მათგან, ამავე კანონით, რეპატრიანტის სტატუსი მინიჭებული აქვს 1533 პირს. საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულებით“ 495 რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირს მიენიჭა პირობადებული საქართველოს მოქალაქეობა.

2014 წლის 12 სექტემბერს საქართველოს მთავრობის N1671 განკარგულებით დამტკიცდა ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირების ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესის კოორდინირებასა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. აღნიშნული სტრატეგიის

სამოქმედო გეგმის შემუშავება დასრულდა და მიმდინარეობს შიდა უწყებათაშორისი შეთანხმება, რისი დასრულების შემდგომაც დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

2.3.2. სამშობლოში ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეები (დაბრუნებული მიგრანტები)

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სამშობლოში ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების ღირსეული რეინტეგრაციის ხელშეწყობა, რის მისაღწევადაც სამინისტრო 2011 წლიდან თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში. 2015 წლიდან სამინისტრომ, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით (400 000 ლარი) დაიწყო „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით განხორციელება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარად დარეგისტრირებულია 207 დაბრუნებული მიგრანტი.

სამინისტრომ შეიმუშავა 2016 წლის სარეინტეგრაციო პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 600 000 ლარს შეადგენს და გამოაცხადა საგრანტო კონკურსი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

2.3.3. თავშესაფრის მაძიებლები; ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები

2011 წლის 6 დეკემბრის „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, 2016 წლის მარტის მდგომარეობით ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 378 თავშესაფრის მაძიებელ პირს, ხოლო ჰუმანიტარული სტატუსი 931 პირს. ამავე კანონის ფარგლებში თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებულია 587 პირი. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებზე გაიცემა ყოველთვიური შემწეობა 45 ლარის ოდენობით. აღნიშნული პირები ზოგადი განათლების სფეროში სარგებლობენ იგივე უფლებებით, როგორც საქართველოს მოქალაქეები. თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სკოლამდელი ასაკის შვილებისთვის უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ისინი ასევე სარგებლობენ შრომითი მოწყობის უფლებით, სამედიცინო და სოციალური დახმარებით.

3. სამინისტროს მისია კომუნიკაციის მიმართულებით

სამინისტროს მისია კომუნიკაციის მიმართულებით შედგება შემდეგი ელემენტებისგან:


1. პროაქტიური კომუნიკაციის გაუმჯობესება და ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაციის ინოვაციური მეთოდების დანერგვა;

2. სამინისტროს ბენეფიციარების დროული და სათანადო ინფორმირებულობა მათი უფლებების, ვალდებულებების და სახელმწიფო პროგრამების შესახებ;
3. გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობა სამინისტროს ბენეფიციარებთან დაკავშირებულ საკითხებში.
4. ეფექტური და თანმიმდევრული კომუნიკაციით სამინისტროს იმიჯის გაძლიერება;
5. სამინისტროს შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება.

ამ მისიის განსახორციელებლად სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს მის ბენეფიციარებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საჯარო დაწესებულებებთან, საზოგადოებასთან, ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლებთან და უზრუნველყოფს მათ სათანადო ინფორმაციით.

მიუხედავად ამისა, არსებობს სირთულეები, რომელთა გადაჭრა მნიშვნელოვანია, რათა ხელი არ შეეშალოს სამინისტროს სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმებით დასახული მიზნების მიღწევას. მნიშვნელოვანი გამოწვევები უკავშირდება ბენეფიციარებთან ორმხრივ კომუნიკაციას, მათთვის საჭირო ინფორმაციაზე სრულ ხელმისაწვდომობას, სამინისტროს საჯარო პოლიტიკისა და ქმედებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობას, კომუნიკაციის პროცესში ბეჭდვითი მასალების და ელექტრონული შესაძლებლობების არასაკმარის გამოყენებას, სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოების მიერ წინასწარდადგენილი ერთგვაროვანი ინფორმაციის გავრცელებას.

4. სტრატეგიული მიზნები



კომუნიკაციის სტრატეგიის მიზნებია:

- (i) სამინისტროს ბენეფიციარების ინფორმირებულობა სამინისტროს მიერ მათ დაცვასთან და საზოგადოებაში მათ წარმატებულ ინტეგრაციასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებებისა და პოლიტიკის

- შესახებ. ბენეფიციარების ჩართულობის გაზრდა სამინისტროს პრიორიტეტებთან დაკავშირებულ დიალოგში;
- (ii) სამინისტროს გამჭვირვალე, მზრუნველი და ეფექტური მომსახურების მიმწოდებლის სახის მუდმივი გაუმჯობესება თავის ბენეფიციარებთან თანასწორი და არადისკრიმინაციული მოპყრობის პრინციპის შესაბამისად;
 - (iii) ეფექტური კომუნიკაციის გზების დასახვა.

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია ბენეფიციარებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერება ისეთი უკუკავშირის მექანიზმის შესამუშავებლად, რომელიც სამინისტროს მომსახურების საჭიროებაზე მორგებას შეუწყობს ხელს. ეს გადამწყვეტია საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მექანიზმის შექმნის კუთხით.

კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაინტერესებული მხარეების მჭიდრო ჩართულობას სამინისტროს ღონისძიებებში. ამ თვალსაზრისით, კომუნიკაციის სტრატეგია ასევე მიზნად ისახავს სამინისტროს მიერ ყველა დაინტერესებულ პირებთან, მუნიციპალურ, რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რეგულარულ კონსულტირებასა და ინფორმირებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სამინისტროს ეფექტური შიდა კომუნიკაციის განვითარება, რომელიც საფუძველია სამინისტროს გარე კომუნიკაციის ძლიერი მექანიზმის შექმნასათვის.

5. სტრატეგიის ამოცანები და გასატარებელი ღონისძიებები

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სამინისტრო ადგენს შემდეგ ამოცანებს:

- სამინისტროს ბენეფიციარების უფლებების და ვალდებულებების შესახებ, ასევე მათთვის შეთავაზებული სახელმწიფო პროგრამების, დახმარებების, გასაცემლების, მათთან დაკავშირებულ პროცედურებსა და დადგენილ წესებზე ამომწურავ, დროულ, იოლად გასაგებ, წერილობით და სხვა ფორმით მომზადებულ ინფორმაციაზე ყველა დაინტერესებული პირის ხელმისაწვდომობის პროაქტიული უზრუნველყოფა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების კოორდინირებული მოქმედებებით;
- სამთავრობო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ბენეფიციარებს უწევენ მომსახურებას, მჭიდრო თანამშრომლობა კომუნიკაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის და კოორდინირებული განხორციელების მიზნით;
- დევნილი ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგონების განსხვავებული საჭიროებების მხედველობაში მიღება;
- სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს ბენეფიციარების უფლებების, ვალდებულებების და მათთვის განკუთვნილი დახმარების და

- სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რადგანაც მათ იციან თუ როგორ ჩაერთონ დებატებში და ხელი შეუწყონ სამინისტროს ბენეფიციარებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სტრატეგიის მიზნების განხორციელებას;
- სამინისტროს საქმიანობაზე მედიის წარმომადგენლების უზრუნველყოფა დროული და ამომწურავი ინფორმაციით, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ სამინისტროს ბენეფიციარებთან დაკავშირებული საკითხების ხარისხიან, სწორ და სიღრმისეულ გაშუქებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ფარგლებში; რეგიონალური მედიის წარმომადგენლების ინფორმირება, კვარტალური შეხვედრები მედიის წარმომადგენლებთან, წლიური ანგარიშის წარდგენა მედიის წარმომადგენლებისათვის, მედია ტურები დევნილთა ჩასახლებებში და ახალი საცხოვრებლის გახსნის ცერემონია;
 - სამინისტროს პარტნიორების (დონორები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც სამინისტროსთან თანამშრომლობენ სამინისტროს მანდატით გათვალისწინებულ სფეროში) ინფორმირებულობა და მათი დაინტერესების შემთხვევაში ჩართულობა კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელებაში;
 - სამინისტროს მიერ ორმხრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება სამინისტროს ბენეფიციარებთან დაკავშირებული მომსახურებისა და სხვა მათთვის საჭირობო საკითხების გარშემო;
 - სამინისტროს მიერ მასპინძელი თემების საჭირო ინფორმაციით პროაქტიული უზრუნველყოფა სამინისტროს ბენეფიციარებისთვის მიმდინარე პროექტების შესახებ;
 - სამინისტროს მიერ ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალური ორგანოებისთვის;
 - ინტერნეტ რესურსების გამოყენების ეტაპობრივად გაძლიერება სერვისების მიწოდების დროს, რათა სამინისტროს ბენეფიციარებს, განსაკუთრებით სოფლად და რეგიონებში მაცხოვრებლებს, უფრო გამარტივებულად მიუწვდებოდეთ ხელი შეთავაზებულ სერვისებზე. ამ მიმართულებით სამინისტრო გააგრძელებს თანამშრომლობას სსიპ „სოციალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან“, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა მოხდეს რესურსების გაერთიანება და გამოცდილების გაზიარება ბენეფიციარებთან კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის მიზნით;
 - თემატური ფესტივალების ორგანიზება, საარსებო წყაროებთან დაკავშირებული გამოფენის ორგანიზება, სამინისტროს კეთილი ნების ელჩების პრაქტიკის შემოღება, თემატური სარეკლამო რგოლების, მოკლე ვიდეოკლიპების მომზადება, აბრებისა და აფიშების განთავსება, პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენების დამზადება და გავრცელება. თუმცა, 2016 წელს კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მხოლოდ ზოგიერთი ღონისძიების განხორციელებას.

დასახული ამოცანების გადასაჭრელად სამინისტრო 2016 წელს გეგმავს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

- სამინისტროს ბენეფიციარების ინფორმირება 2016 წელს მიმდინარე პროგრამების შესახებ:
 - დევნილთა ინფორმირება საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 18 დეკემბერს დამტკიცებული საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების და ღონისძიებების შესახებ;
 - დევნილთა ინფორმირება საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 4 თებერვალს დამტკიცებული დევნილთა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი და დროებითი განსახლების პროგრამების, „სოფლად სახლის“ პროგრამის, დევნილთათვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის, ერთჯერადი ფულადი დახმარებების, ასევე სხვა დახმარებების და ღონისძიებების შესახებ;
 - ეკომიგრანტების ინფორმირება სამინისტროს ახალ ბაზაში მათი რეგისტრაციისთვის წარსადგენი დოკუმენტების და პროცედურების შესახებ;
 - ეკომიგრანტების ინფორმირება განსახლების პროგრამისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ;
 - საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების ცნობიერების ამაღლება სარეინტეგრაციო პროგრამებისა და შესაძლებლობების თაობაზე;
 - დიასპორული ორგანიზაციების ხელშეწყობა ემიგრაციაში სარეინტეგრაციო ტრენინგების და საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარებაში;
 - მიმღებ ცენტრ(ებ)ში თავშესაფრის მაძიებელ პირებთან პერიოდული შეხვედრების ფორმატის შემუშავება და საქართველოში ცხოვრების და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობების, საკანონმდებლო სიახლეების, მათი უფლებებისა და ამ უფლებათა დაცვის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
 - ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების რეგულარული ინფორმირება საკანონმდებლო ცვლილებების და ახალი სამთავრობო პროგრამების თუ ინიციატივების შესახებ;
 - საინფორმაციო ბროშურების (არაბულ, ფრანგულ, სპარსულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) გავრცელება სამიზნე ჯგუფში მათთვის ადმინისტრაციული პროცედურების, საქართველოში ცხოვრების და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობების შესახებ;
 - საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად ჩამოსვლამდე რეპატრიანტთა ინფორმირება საქართველოს სამართლებრივ საკითხებთან და ჩამოსვლის შემდგომ განსახლების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე სახელმწიფო სერვისების და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ;
- არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ბეჭდვითი და ელექტრონული ინფორმაციის მიწოდება 2016 წელს სამინისტროების მიერ განსახორციელებელი პროგრამების შესახებ, მათი ჩართულობა სამინისტროს ბენეფიციარებისთვის ინფორმაციის მომზადებასა და საინფორმაციო კამპანიების განხორციელებაში, ასევე სამუშაო შეხვედრების და მრგვალი მაგიდების მეშვეობით მათი რეგულარული ინფორმირება მიმდინარე პროექტების შესახებ;

- ადგილობრივი სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულების და სხვა შუამავალი რგოლების ცნობიერების ამაღლება საქართველოში თავშესაფრის სისტემის და ინტეგრაციის პოლიტიკის მიზნების შესახებ;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრების გამართვა რეპატრაციის საკითხების შესახებ;
- მასპინძელი თემების ინფორმირება სამინისტროს ბენეფიციარებისა და მათთვის განხორციელებული პროგრამების შესახებ;
- სხვა სამინისტროების, სამინისტროს პარტნიორი ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშების მიწოდება;
- მედია ტურების, სამინისტროს ბენეფიციარებთან ერთობლივი საჯარო ღონიძიებების, მათი უფლებების, სახელმწიფო პროგრამების, მომსახურების და მათთან დაკავშირებულ პროცედურებზე ჟურნალისტების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.

აღნიშნული ღონისძიებები დეტალურად არის გაწერილი სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში (დანართი #1 კომუნიკაციის სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმა).

6. კომუნიკაციის სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები

6.1. სამინისტროს ბენეფიციარები

სამინისტროს ბენეფიციარები არიან დევნილები, ეკომიგრანტები, რეპატრიანტები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები და თავშესაფრის მაძიებლები. ვინაიდან აღნიშნულ ჯგუფებში გაერთიანებული არიან განსხვავებული საჭიროებების მქონე ადამიანები (სქესის, ასაკის, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური თვალსაზრისით), მათთან კომუნიკაციის შესაბამისი საშუალებების გამოყენებაა საჭირო.

საკვანძო სამიზნე ჯგუფი ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისად ინფორმირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ფორმალური კომუნიკაციის არხების გამოყენებით. მეტწილად ფორმალური ინფორმაცია გადაიცემა ზეპირად ან ხელმისაწვდომია მხოლოდ სამართლებრივი აქტების ფორმით. პირველ შემთხვევაში ინფორმაცია ხშირად ვრცელდება დამახინჯებულად და არ არის ხელმისაწვდომი ყველა სამიზნე ჯგუფისა და პირისთვის. მეორე შემთხვევაში ინფორმაციის წაკითხვა იმდენად რთულია, რომ ბენეფიციარებს უჭირთ აზრის გაგება; მათ ისევ უწევთ სამინისტროს ცხელ ხაზთან და მისაღებ ცენტრებთან ურთიერთობა, სადაც კვლავ ზეპირი ფორმით იღებენ ინფორმაციას, რომელიც შემდგომ მაინც დამახინჯებულად ვრცელდება.

იგივე კომუნიკაციის არხები გამოიყენება შიდაკომუნიკაციის დროს, რაც ასევე ართულებს ოპერატორების მხრიდან ერთგვაროვანი ინფორმაციის გავრცელებას. ეს ზოგჯერ იწვევს სამინისტროს პოლიტიკისა და მიზნებისადმი უნდობლობას და გაუგებრობებს. მაგალითად, რეაბილიტაციის, პრივატიზაციისა და რეალოკაციის

პროცესები შეიძლება რთული და ხანგრძლივი იყოს. რაც უფრო ნაკლებად არიან ბენეფიციარები ინფორმირებულნი, მით მეტია იმის შესაძლებლობა, რომ ისინი გამოხატავენ უკმაყოფილებას.

კვლევები ადასტურებენ, რომ უამრავი ბენეფიციარი არ ფლობს სათანადო ინფორმაციას ან დაგვიანებით იგებს სამინისტროს და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ შემოთავაზებული პროექტების, მათ შორის საარსებო წყაროებისა და განსახლების შესაძლებლობების შესახებ. ეს მიუთითებს არსებული კომუნიკაციის არხების გამოყენებით დევნილთა რეგულარული ინფორმირებისა და ინფორმაციის დეფიციტის შემცირების საჭიროებაზე.

6.2. მასმედია

მედიის წარმომადგენლები საკვანძო როლს თამაშობენ სამინისტროს პოლიტიკისა და ღონისძიებების შესახებ სხვა სამიზნე აუდიტორიების ინფორმირების კუთხით. მედიის წარმომადგენლების მიერ მათი როლის წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ ისინი თავად რეგულარულად და ადეკვატურად იყვნენ ინფორმირებული სამინისტროს გეგმებისა და სავსე ღონისძიებების შესახებ.

სტრატეგიით გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავენ დივერსიფიკაცია მოახდინონ და გააუმჯობესონ მედიის მიერ დევნილთა საკითხების გაშუქების ხარისხი. კერძოდ, კომუნიკაციის სტრატეგია გეგმავს შემდეგ აქტივობებს:

- ჟურნალისტებთან სამუშაო შეხვედრების გამართვა, სადაც დეტალურად იქნება განხილული სახელმწიფო პროგრამები, მათი განხორციელება, დაკავშირებული პროცედურები და გამოწვევები;
- ჟურნალისტების წერილობითი ინფორმაციით აღჭურვა, ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ სისტემატიური და დროული ინფორმირება;
- მედია ტურების და ერთობლივი საჯარო ღონისძიებების დაგეგმვა;
- სოციალური მედიის გამოყენება.

6.3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია და ასოციაცია მუშაობს დევნილთა და სხვა მიგრანტთა საკითხებზე ეროვნულ, რეგიონალურ და თვითმმართველობის დონეზე. ისინი ხშირად მონაწილეობენ დებატებში და თამაშობენ მნიშვნელოვან როლს საზოგადოების აზრის ფორმირებაში. მათ შორის არის სეგმენტი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მთავარ სამიზნე აუდიტორიასთან. ისინი ხშირად თავად წარმოადგენენ მომსახურების მიმწოდებლებს და შესაბამისად, გააჩნიათ სოციალური კავშირები, იციან ბენეფიციართა ასაკიდან, სქესიდან და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სპეციფიკური საჭიროებების შესახებ და აქვთ შესაძლებლობა ეფექტურად გაავრცელონ ოფიციალური ინფორმაცია. სამინისტრო მათთან მჭიდროდ თანამშრომლობს

როგორც სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმარების, ასევე განხორციელების ეტაპებზე.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არ არიან ერთმნიშვნელოვნად და მჭიდროთ დაკავშირებული სამინისტროს ბენეფიციარებთან და შესაბამისად, სამინისტროს საქმიანობასთან, თუმცა წარმოადგენენ საზოგადოებას და არიან აქტიურები სხვადასხვა ჯგუფების ინტერსების წარმოჩენაში, ინფორმაციის გავრცელებაში, საჯარო პოლიტიკის დებატებსა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოიცავენ სტუდენტთა კავშირებს, აკადემიურ წრეებს, უნივერსიტეტებს და ახალგაზრდულ ცენტრებს, ჟურნალისტთა და პროფესიონალთა ასოციაციებს, ასევე სხვა ორგანიზაციებს.

ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები წარმოადგენენ სამინისტროს კომუნიკაციის სტრატეგიის ერთ-ერთ სამიზნე აუდიტორიას. ამასთანავე, არიან საკვანძო შეტყობინებების გამავრცელებელი, რადგანაც მათ წვდომა აქვთ ინფორმაციაზე და მათი გავრცელების საშუალებები არიან.

ამ კუთხით სტრატეგია ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

- სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება მასმედიის მეშვეობით, შეხვედრების გზით და სამინისტროს ვებ-გვერდის გამოყენებით სამინისტროს ბენეფიციარების უფლებების, ვალდებულებების და მათთვის განკუთვნილი დახმარების და სახელმწიფო პროგრამების შესახებ, ასევე საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესსა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე;
- სამინისტროს მიერ საზოგადოების წევრების უზრუნველყოფა, რომ მათი სურვილის მიხედვით ხელი მიუწვდებოდეთ ყველა საჯარო ინფორმაციაზე, მათ შორის სახელმწიფო პროგრამების შესახებ სათანადო და იოლად გასაგებ ენაზე შედგენილ ინფორმაციაზე;
- სოციალური მედიის გამოყენება და ბეჭდვითი ინფორმაციის გავრცელება არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით.

6.4. საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები

საერთაშორისო პარტნიორი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი ჩართულია სამინისტროს ბენეფიციარების დახმარების საკითხებში. დახმარებას უწევენ საქართველოს მთავრობას საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ასევე აფინანსებენ პროგრამებს და ახდენენ მათი განხორციელების მონიტორინგს.

საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის მიმართულებით სტრატეგია ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

- იმ საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც გამოხატავენ შესაბამის დაინტერესებას, საქართველოს მთავრობის, სამინისტროს სამეთვალყურეო საბჭოს, უწყებათაშორისი კომიტეტის, სამინისტროს გადაწყვეტილებების, სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიშების სისტემატურად მიწოდება სამინისტროს მიერ;
- საზოგადოების ინფორმირებისა და ბენეფიციარებთან კომუნიკაციის მიმართულებით სამინისტროს მჭიდროდ თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან; განსაკუთრებით იმ პროექტების შესახებ, რომლებსაც მათთან ერთობლივად ახორციელებს;
- რეგულარული შეხვედრები მიმდინარე პროექტების გაცნობის მიზნით და სავარაუდო თანამშრომლობის გზების გამოსანახავად.

6.5. ფართო საზოგადოება

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მისი მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად, ამომწურავად და რაც მთავარია სწორად მიეწოდოს როგორც სამინისტროს ბენეფიციარებს, ისე მთელ საზოგადოებას. მით უმეტეს, რომ დევნილთა და სხვა მიგრანტთა სახელმწიფო დახმარების პროგრამები თავისი სოციალური ხასიათიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში ფართო საზოგადოებას უშუალოდ ეხება და იწვევს მათ ჩართულობას.

სამინისტრო არის გამჭვირვალე და ღია ყველა დაინტერესებული პირისთვის. მზადაა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმიანობების, პროექტების, ბენეფიციარების, პროცედურების, ბიუჯეტის ხარჯვის და სხვა საჯარო ინტერესის საკითხებზე, რომელიც კანონით არ არის შეზღუდული. სამინისტროს ანგარიშები ხელმისაწვდომია სამინისტროს ვებ-გვერდზე.

6.6. მასპინძელი თემები

საზოგადოების განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენენ მასპინძელი თემები, რომელთა მეზობლადაც ან სიახლოვეს არიან განსახლებულნი სამინისტროს ბენეფიციარები და მათთან თანაარსებობენ.

მასპინძელი თემები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისათვის პირობების შექმნაში. სამინისტრო კომუნიკაციის სტრატეგიის ფარგლებში გეგმავს პროაქტიულად უზრუნველყოს მასპინძელი თემები საჭირო ინფორმაციით მიმდინარე პროექტებისა და პროექტებში მათი შესაძლო ჩართულობის შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია სამინისტროს რეგიონალური წარმომადგენლების თანამშრომლობა მუნიციპალურ ორგანოებთან არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით.

6.7. სახელმწიფო უწყებები

ამ სამიზნე ჯგუფში გაერთიანებულია საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მუნიციპალური ორგანოები. მათი ჩართულობა გადამწყვეტია სამინისტროს მიერ საჯარო პოლიტიკის განხორციელებაში, სადაც ხშირ შემთხვევაში სამინისტრო სხვა სამინისტროებთან და მუნიციპალიტეტებთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს.

მნიშვნელოვანი როლი გააჩნია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს დევნილთა და სხვა მიგრანტთა უფლებების დაცვისა და ადვოკატირების მიმართულებით. შესაბამისად, სტრატეგია ითვალისწინებს საჯარო უწყებებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფის შემდეგ ღონისძიებებს:

- ანგარიშების წარდგენა;
- დევნილთა მიმართ 2015-2016 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებისა და უწყებათაშორისი კომიტეტის გადაწყვეტილებების წარდგენა;
- პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან ურთიერთობა;
- საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლების ჩართულობა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში;
- პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციასთან, საქართველოს სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან სისტემატიური ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა;
- რეგიონალურ ხელისუფლებასთან და მუნიციპალიტეტებთან ინფორმაციის გაცვლა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან ინფორმაციის გაცვლა.

6.8. აკადემიური წრეები

აკადემიური წრეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამინისტროს აქტივობებთან დაკავშირებული კვლევების, იდეების გენერირებისა და პრობლემების გადაჭრის მიმართულებით. ისინი ასევე წარმოადგენენ ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვან რგოლს აკადემიური დებატების მოწყობის, საგანმანათლებლო მოღვაწეობის თუ სამეცნიერო ნაშრომების გავრცელების გზით.

სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია პრობლემატურ საკითხებზე კვლევების ჩატარება და ზუსტ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და აკადემიურ წარმომადგენლებისთვის სამინისტრო უზრუნველყოფს სათანადო სტატისტიკურ მონაცემებზე წვდომას,

რაც ხელს შეუწყობს ზუსტ მონაცემებზე დაფუძნებული სამეცნიერო ნაშრომების შექმნას.

6.9. შიდა კომუნიკაცია

სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებს შორის შიდა კომუნიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სამინისტროს ყველა რგოლის თანამშრომელმა უნდა მიიღოს საკმარისი, დროული და სათანადო ინფორმაცია სამინისტროს საქმიანობის შესახებ. შიდა კომუნიკაცია მოიცავს ოფიციალურ (განმარტებები, სახელმძღვანელოები, პროცედურები და ა.შ.) და არაოფიციალურ კომუნიკაციას (იდევების, აზრების მიმოცვლას თანამშრომლებს შორის, მათ შორის პირადი ურთიერთობების განვითარებას). ზოგჯერ, შიდა კომუნიკაციასთან მიმართებაში, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები და ტერიტორიული ორგანოები ერთმანეთის საქმიანობის შესახებ განახლებული ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან. სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის შეფერხების რისკი ასევე იწვევს ინფორმაციის გაცვლის შეფერხების რისკს სხვა სამიზნე აუდიტორიებისთვის, რამაც შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს კომუნიკაციის ხარისხსა და ზოგადად სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაციისადმი ნდობაზე.

კომუნიკაციის სტრატეგიის მიზანია წვლილი შეიტანოს სამინისტროს შიდა კომუნიკაციის ნაკადის შემდგომ გაუმჯობესებაში და გაზარდოს იმ ინფორმაციის ხარისხი და მოცულობა, რომელსაც სამინისტრო გადასცემს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიებს.

ეფექტური შიდა კომუნიკაციის სისტემის გასავითარებლად სამინისტროს საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი; დევნილთა საკითხების დეპარტამენტი; ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი; მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი; ადმინისტრაციული დეპარტამენტის პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველო; ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფი ცხელი ხაზის განყოფილება; მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფები თავშესაფრის მამიებელთა მიმღები ცენტრი - განყოფილება; დევნილთა საკითხების დეპარტამენტის დევნილთა მისაღები ცენტრი - სამმართველო; სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები; საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ერთნაირად უნდა ფლობდნენ იოლად გასაგებ ენაზე შედგენილ ინფორმაციას, რომელიც მათ კოორდინირებულად უნდა მიაწოდონ სხვადასხვა ჯგუფებს.

შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით კომუნიკაციის სტრატეგია ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

- მარტივად გასაგებ ენაზე დაწერილი ინფორმაციების შემუშავება, დანერგვა, რეგულარული განახლება და გავრცელება სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს შორის ისე, რომ თანამშრომლებმა შეძლონ ერთნაირი ინფორმაციის გავრცელება;
- მისაღები ცენტრების აღჭურვა ბეჭდვითი მასალებით ბენეფიციარების უფლებების და ვალდებულებების, ასევე მათთვის შეთავაზებული სახელმწიფო პროგრამების, დახმარებების, გასაცემლების, მათთან დაკავშირებული პროცედურებისა და დადგენილი წესების შესახებ;
- სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს მეშვეობით შიდაკომუნიკაციაში არსებულ ხარვეზებზე პერიოდული კვლევის განხორციელება, შემუშავება და სამინისტროსთვის რეკომენდაციების წარდგენა;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირს - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, სამინისტროს დეპარტამენტებისა და სამმართველოების თანამშრომლების რეგულარული ყოველკვირეული შეხვედრები, სადაც ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები ჩაერთვებიან ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.

სამინისტროს საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი პასუხისმგებელია სამინისტროს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებაზე. ბენეფიციარებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებლობა განაწილებულია ადმინისტრაციული დეპარტამენტის პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს, ტერიტორიულ ორგანოებს, საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტსა და სხვა დეპარტამენტებს შორის, მათი კომპეტენციების გათვალისწინებით.

7. სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინაცია

სამინისტროსთვის დიდი გამოწვევაა, რომ ყოველი ინიციატივის, პროექტის და ღონისძიების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებასა და ყველა დაინტერესებულ მხარეს. შესაბამისად, სამინისტრო შეიმუშავებს ფართო საზოგადოებისთვის ძირითად საკომუნიკაციო გზავნილებს, რომლებიც წარმოადგენს მოკლე ინფორმაციას სამინისტროს საქმიანობაზე და განათავსებს სამინისტროს ვებ-გვერდზე.

სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინაციას განახორციელებს სამინისტროს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

7.1. ძირითადი საკომუნიკაციო გზავნილი

სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობები კომპლექსური და მრავალფეროვანია. სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობაში ესაჭიროება მოკლე ინფორმაციები, რომლებიც გზავნილების სახით მიეწოდება ზემოთ აღწერილ სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიას თანასწორობის პრინციპის შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, რომ გზავნილები არის

მინიმალური ინფორმაცია, რომელიც ყველას მიეწოდება ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგონების სპეციფიკური საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის კომუნიკაციის სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

გზავნილები იქნება საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობის ბირთვი, რომელიც მობილიზაციას გაუწევს და გაამლიერებს სამინისტროს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიებს.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის ინსტრუმენტებად საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ასევე გამოიყენებს საინფორმაციო ვიდეო კლიპებს, ვიდეო და ფეისბუქ კონფერენციებს, სატელევიზიო თოქ-შოუებსა და რადიო გადაცემებში მონაწილეობას.

დანართი: კომუნიკაციის სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმა

დანართი #1. კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა

დევნილები							
ძირითადი მიზნები		სამინისტროს მიზანია ჯეროვანი ინფორმაცია მიაწოდოს ყველა ბენეფიციარს. იმისათვის, რომ დევნილები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ შესაძლებლობებზე, დევნილთა სამინისტრომ დარგობრივ სამინისტროებთან ერთად უნდა გასცეს დროული და ზუსტი ინფორმაცია ყველა არსებულ პროგრამასთან დაკავშირებით. ამ მხრივ სამინისტრომ დევნილებთან მიმართებაში უნდა გასცეს ინფორმაცია საკუთარი აქტივობების ორ უმთავრეს მიმართულებაზე, კერძოდ: საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და განსახლება. საარსებო წყაროები : დევნილებს სამინისტრომ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია განათლების გაღრმავებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე, ასევე მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე მიმართული სხვა პროგრამების შესახებ; განსახლება : სამინისტროს მიზანია დევნილებს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია განსახლების პროგრამებისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ. სამინისტრო აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების დროს მჭიდროთ თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო სექტორთან და დონორებთან.					
საარსებო წყაროები							
აქტივობა	ქვე-აქტივობა	ქვე-სამიზნეები	ძირითადი შეტყობინება	კომუნიკაციის საშუალება	პასუხისმგებელი ორგანო	ბიუჯეტი ლარში	ვადა
საარსებო წყაროების საინფორმაციო კამპანიების შეფასებისათვის საწყისი და საბოლოო მონაცემების მოპოვება (საიდანაც შესაძლებელი იქნება ანალიზი გაკეთდეს სხვადასხვა	1. სახელმწიფოს მიერ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამების შესახებ დევნილთა საწყისი ინფორმირებულობის დამოუკიდებელი შეფასების ჩატარება; 2. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული	ყველა დევნილი	სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა; იმპლემენტაცია და ეფექტის შეფასება.	ანგარიშები	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	სააგენტო: 10 000	პირველი და მეოთხე კვარტალი

კატეგორიების, მათ შორის სქესის, ასაკის და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)	აქტივობების ეფექტის დამოუკიდებელი შეფასება.				(შემდგომში - სამინისტრო); სსიპ „დევილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“ (შემდგომში - სააგენტო).		
